ეროვნული ბიბლიოთეკა


# სამშობლოსათვის

პარიზი, ორშაბათი 15 ივნისი 1925 წ. | No. 3. | Paris, Lundi 15 Juin 1925

ეროვნული პოლიტიკის ორგანო. სპირიდონ კედიას რედაქტორობით.

Journal Géorgien «POUR LA PATRIE», Organe de la Politique Nationale, Directeur: SPIRIDON KEDIA.

ფასი 2 ფრანკი | Rédaction et Administration: 9, Rue Oudinot — PARIS (7e) Téléphone: Ségur 57-36 | Prix: 2 frs.


## ეროვნული დოქტრინისა და ორგანიზაციისათვის.

საქართველო დღეს სულ სხვა ქვეყანაა. იგი ერთიანად განირჩევა ამ ათი, ორმოცი, ასი წლის წინანდელი საქართველოსგან, თავისი ეროვნული სულისკვეთებით. ამ მხრივ, იგი უფრო ენათესავება დავით აღმაშენებლის და თამარ-მეფის საქართველოს.

ამ იშვიათი სახელმწიფოებრივი ექსპანსიისა და სიმტკიცის საუკუნეში თუ უცხოვრია ქართველ ერს ასეთი ძლიერი და საერთო ეროვნული აზრებითა და მიზნით. სწორეთ რომ ამ შორეულთან მზგავსებაშია გამოსახული საქართველოს დღევანდელი უკიდურესი სიახლე. სულ რაღაც ხუთიოდე წლის მანძილზე მოხდა ეს უდიდესი ეროვნული რენესანსი.

ეროვნული მომენტი, რომელიც გუშინ არაფერს ნიშნავდა, დღეს ყველაფერია. სამშობლოს იდეა, რომელიც გუშინ შეგნებული ძაგების საგანი იყო, დღეს აგზნებულ საყოველთაო თაყვანისცემას იწვევს. სამშობლოს სახელს ენაცვალა მრავალი ათასი საუკეთესო ქართველი. სამშობლოს დროშის დასახსნელათ, სამშობლოს გამარჯვებისა და მისი თავისუფლებისათვის ამუშავდა მთელი ქართველი ერი; მისთვის იბრძვის, ძალებისა და სიცოცხლის დაუზოგავათ. ამ მიზანმა შეიპყრო და სულ:ერთიანათ მოიზიდა მისი განცდები, მისი გული და გონება. ამ საკითხის გარშემო დატრიალდა ერის კოლექტიური ნებისყოფა და მისი შემოქმედი ძალა.

ჭეშმარიტად, სულ სხვაა დღევანდელი საქართველო. ჭეშმარიტად, თითეულმა ჩვენთაგანმა უღრმესი რევოლუცია გამოიარა, შეგნებისა და სინდისის.

საქართველოს დამოუკიდებლობა, საქართველოში ქართველი ხალხის ბატონობა და მისი ნებისყოფის მბრძანებლობა,—აი საგანი, რომელიც თვითმპყრობელურათ დგას ქართველი ერის დღიურ წესრიგში და რომელმაც ყველაფერი დაჩრდილა. სამშობლოს უპირველესობა, მისი უზენაესობა, ყოველგან და ყველა პირობებში, უწინარეს ყოვლისა, მისი დაცვა,—აი ის ახალი იდეა, ის ახალი ძალა, რომელმაც ქართველი ხალხი დაიპყრა. აქედან გამომდინარეობს ერის სულიერი მისწრაფება, მისი ინსტინკტიური მოთხოვნილება, რომ ქართველის ხელოვნება და მეცნიერება, მისი უნარი და გამჭრიახობა მარად ამ იდეის განხორციელებას ემსახურებოდეს. ეს არის სრულიად ახალი სულიერი სინამდვილე, სრულიად ახალი გრძნობა და ახალი განცდა. და ეს ყველა ერთად აღებული, წარმოადგენს ერის ძირითად პსიხოლოგიურ ვითარებას, მის ძირითად მორალურ სიმტკიცეს, რომელზედაც ყოველთვის აგებულა ყოველი ერის შეგნებული ცხოვრება და მოქმედება. რამდენადაც მას შეეხამება ეს უკანასკნელი, იმდენათ უზრუნველყოფილია ერის განვითარების წონასწორობა და მისი თავდაცვის ნამდვილი კანონები. ეს ძირითადი ფსიხოლოგიური ვითარება საზღვრავს ერის რეალურ პოლიტიკას და მის საზოგადოებრივ კონცეპციას.

ამ მხრივ, დღეს საქართველოში ადგილი აქვს მეტად სახიფათო დაპირისპირებას.
ერთ მხარეზეა ქართველი ხალხი და მისი ეროვნული ინსტინკტის ძლიერი ამოქმედება; მისი ტრადიციული ძალების შეუპოვარი შემოწოლა და თავდაცვის გრძნობების გამახვილება; აქ აგზნებულია სამშობლოს კულტი და ყველა გაერთიანებულია მაღალ ეროვნულ მისწრაფებათა სინტეზში.

მეორე მხარეზეა ძველი პოლიტიკური კადრი თვისი ხავსიანი დოქტრინით, ძველი დამხჩვალი კონცეპციით და ძველი ორგანიზაციები, რომელიც უკვე ცხოვრებამ გადალახა და უკუაგდო. აქაა გონების საშინელი სიმჭლევე, ტვინის სრული უძრაობა, შემოქმედების დახშვა.

ისე მოხდა აღნიშნული დიდი ეროვნული გარდატეხა, რომ აქ არ თქმულა არც ერთი ახალი სიტყვა, არც ერთი ახალი აზრი, თითქოს ყველაფერი ისე

იყოს როგორც გუშინ; თითქოს დღესაც ისეთივე შეგნება და შეხედულება გვქონდეს ერსა და სამშობლოზე, როგორც წინათ. არავისგან არავითარი აღსარება არც ქვეყნის წინაშე, არც საკუთარი სინიდისისა; თითქოს ჩვენში არავითარი ცვლილება მომხდარიყოს! ჩუმათ კი ვიტყვით ამ ცვლილებას, მაგრამ საჯაროთ არასოდეს. ჩვენში ყველაფერი გაუბედავია და ქურდული, რადგან სუსტნი ვართ და უძლური. ახლის შექმნის უმწეობის წინაშე, გვეშინია ძველი არ დავკარგოთ და იმას ვებღაუჭებით, რაც უკვე არ გვწამს და ცხოვრებასაც უარუყვია.

ერთ მხარეზეა ეროვნული მასსა, ერთი გაბატონებული ეროვნული განცდა, ერთი ძირითადი გრძნობა და მიზანი.

მეორე მხარეზეა პოლიტიკური ხელობის სხვადასხვა წრე, თავ-თავის ორგანიზაციაში ჩაკეტილი. თითეულ ამ წრეს აქვს საკუთარი დოკტრინა, რომელიც გამოჭრილია მის ეგოისტურ სულისკვეთებაზე. ეს დოკტრინები გათიშვის და დაპირდაპირების დოკტრინებია; ყოველი მათგანის მიზანია ერის ცოცხალი ნაწილები ჯერ პსიხოლოგიურათ ერთმანეთს დააშოროს და მერე სასიკვდილოთ შეაჯახოს.

და ამიტომ, ყოველი მათგანი ასაბუთებს, ჰქმნის და აპატონებს მარტო ჯგუფის ეგოისტურ განცდას, მარტო მის ეგოისტურ გრძნობას და მიზანს; და ამავე პროპორციით იგი ჰკლავს ეროვნული გრძნობის და მიზნის ერთობასა და მთლიანობას.

რომ ამ დოკტრინებს დღეს სიცოცხლის ძალა ჰქონდეს და საქართველოს სინამდვილეში გაუქმებული არ იყვნენ, შეუძლებელი იქნებოდა რაიმე ეროვნული ბრძოლა.

მაგრამ ჩვენი სიდუხჭირე სწორეთ იმაშია, რომ საქართველოს ახალი სინამდვილის შესაფერი არც დოკტრინა შეიქმნა და არც ორგანიზაცია და რომ ამ ახალ ქვეყანას ძველის ინერციით განაგებს ეს თავის ბუნებით ანტიეროვნული, ხოლო გარემოების ძალით უკვე მკვდარი დოკტრინები.

თუ ინტელიგენცია ქვეყნის ტვინია, მაშინ ამ ეროვნულ რევოლუციაში ეროვნული გრძნობითა და ინსტინკტით გამდიდრებულს,ეროვნული შემოქმედებისა და მიზნის უკვდავი ძალებით ნაზიარებსა და სამშობლოს უზენაესობის რწმენით გაფოლადებულ ქართველ ხალხს საკუთარი თავი არ ბმია!

ახალ საქართველოს არ აქვს თავისი დოკტრინა, ახალ საქართველოს არ აქვს თავისი ორგანიზაცია. თუ ამას არ ეშველა, შეიძლება ყველაფერმა ფუჭათ ჩაიაროს და სიცოცხლისა და გამარჯვებისთვის მოწოდებული ქართველი ერის ხაღი სხეული თავიდან აყროლდეს და მოიწამლოს; შეიძლება ხაღი გრძნობა და ინსტინკტი მანკიანმა ტვინმა იმსხვერპლოს.

ისეთ დროში არ ვცხოვრობთ, რომ გამარჯვებისათვის საკმარისი იყოს მარტო გრძნობა და განცდა. არამედ საჭიროა დიდი გონების ძალა. და ახალმა საქართველომ, რათა გაიმარჯვოს, უნდა შეჰქმნას თვისი ეროვნული დოკტრინა და საერთო ეროვნული ორგანიზაცია. აუცილებელია, რომ გრძნობებმა და განცდებმა, ინსტინკტმა და მისწრაფებათ გარკვეული მოძღვრების ხასიათი მიიღონ, მცნებებათ ჩამოყალიბდნენ და გადაულახავ მოვალეობათ გარდაიქცნენ. და ეს ხასიათი, ეს ცნება და მოვალეობა უნდა ისწავლებოდეს ყოველგან, სკოლაში და მის გარეთ, ყოველი ასაკის ქართველთა შორის.

ქართველი ერის გაუქრობლობა და მტრებზედ გამარჯვება არ შეიძლება იყოს ჩვენი რიცხვის, ან ჩვენი ტეხნიკის ფუნქცია. უწინერეს ყოვლისა, იგია ფუნქცია ჩვენი ზნეობრივი მთლიანობისა, ჩვენი ერის პსიხოლოგიური ერთობის. ეს არის conditio sine qua non. ამიტომ მთელი ჩვენი გონების ძლიერება. მთელი შეგნება, მთელი ხელოვნება და მეცნიერება ამ სულიერი ერთობის შექმნას და მის განმტკიცებას უნდა ვამსახუროთ. ვისაც სწამს სამშობლოს უზენაესობა, ვინც მის უკვდავებას ცოცხალ აზრათ და ზნეობრივ ვალდებულებათ განიცდის, ვისაც საქართველოს გამარჯვება და მისი მრავალჟამიერობა ცხოვრების მიზნად დაუსახავს, იგი ასპარეზზე უნდა გამოვიდეს როგორც ქართველი ხალხის სულიერი, დოკტრინალური და ორგანიზაციული ერთობის მოციქული. ეს უნდა იყოს ყოველი ქართველის მუდმივი სოციოლოგია, მისი ფილოსოფია და პრაკტიკული მოქმედება; ამის გარეშე ჩვენი ხსნა არ არის.

პარტიული და კლასიური დოკტრინები და ორგანიზაციები თავის ბუნებით და დანიშნულებით ამას ებრძვის და ეპირისპირება. ამიტომაც დღეს გაუქმებულია კიდევაც მათი ნიშნობლივი თვისებანი და მხოლოთ იმდენათ ბოგინობენ ჩვენში, რამდენადაც ძალა-უნებურათ სამშობლოს იდეას უფარდდებიან. რისთვისაც გაჩენილი იყვნენ, იმისთვისაც მოკვდნენ და რასაც შეეფარდენ იმისთვის მკვდრათ შობილი არიან. თავის დიდ უმრავლესობაში მათი მიმდევარი პიროვნულათ გამოიცვალა;ამ ორგანიზაციების ღობეები ცხოვრებამ დაშალა; ბევრი სხვადა სხვა წრის და ორგანიზაციის ხალხი ერთმანეთს უფრო დაუახლოვდა, ვიდრე ზოგიერთ თვის ძველ ერთმოაზრეს. მაგრამ ნაღობარს ვერავინ გადმოაბიჯა და ეს მკვდარი დოკტრინები და ორგანიზაციები ცოცხლებს ასაფლავებენ. ამ გახრწნას უნდა ბოლო მოეღოს!

დღეს გასაკუთმბმლია ერთი საქმე--საქართველოს გამარჯვების მომზადება. ეს მოითხოვს უაღრესს ეროვნულ აზროვნებას და მოქმედებას, ერთ ეროვნულ დოკტრინას და ერთ ეროვნულ ორგანიზაციას. ყოველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი უნდა ამაღლდეს ამის შეგნებამდე.

Ცხოვრებამ მოსპო და წალეკა პარტიული ასპარეზი, პროგრამა და მოქმედობა. ეს უნდა დაადასტუროს ჩვენმა გონებამ. ქართველი ხალხი გამოსულია სამშობლოს განთავისუფლების დიდი ეროვნული პროგრამით და მოითხოვს აზროვნების და მოქმედების გაერთიანებას. ეს უნდა მივცეთ მას. ძველი ორგანიზაციული დანაწილების მაგიერ, უნდა შეიქმნეს ერთი საყოველთაო ეროვნული ორგანიზაცია. ძველი კლასიური დოკტრინის ადგილი ეროვნული ერთობის დოკტრინამ უნდა დაიჭიროს. ვინც ასე აზროვნებს, ყველა მათ უნდა დასტოვონ ძველი დანაწილება და ერთ ოჯახში დადგნენ. ეს ახალი დალაგება იქნება წყარო ახალი შემოქმედებისა და სიმტკიცის. უნდა დაარსდეს ერთი ეროვნული კავშირის ორგანიზაცია, ერთი ეროვნული ლიგა.

აქ შემოვა ყოველი პატრიოტი ქართველი, გლეხი, მუშა, ინტელიგენტი, სტუდენტი, მხედარი, როგორც არა სოციალისტი, ისე სოციალისტი, —ყველა ვისთვისაც პირველი ადგილი უჭირავს სამშობლოს იდეას და მის თავისუფლებას.

სპირიდონ კედია.

---

## მწუხარება და იმედი.

### I.

გლოვა უღრმესი და უსაზარლესი მეფობს მთელს საქართველოში; ყველგან, სადაც კი არის სამშობლოს გაცილებული ქართველობა გაბნეული, ყოველი ქართველის გულსა ღრღნის გესლი მწუხარებისა.

და ბევრი გვაქვს საგლოვი და სამწუხარო.

25 თებერვალს 1921 წელს შემოესია საშინელი მტერი ჩვენს ქვეყანას და დაუთრგუნა მას თავისუფლება, რომელიც მან აღიდგინა 1918 წელს ერთი საუკუნის მონობის შემდეგ,—თავისუფლება, რომელიც უფლება იყო ქართველი ერისა ათას წელთა განმავლობაში, საფუძველი მისი არსებობისა და განვითარებისა,—დამოუკიდებლობა, რომლისთვისაც შეუწყვეტლივ სისხლსა ღვრიდა უამრავ მტერთა წინააღმდეგ და რომლის ღირსიც იყო ქართველი ერი.

თავისუფლების დაკარგვა კიდევ არ არის ქართველთათვის ისე საგლოვი და სატირალი, როგორც ის დანაშაული, რომელიც ერს თვისის თავის წინაშე მიუძღვის 1921 უბედურებაში. ქართველი ერი მიჩვეულია დამოუკიდებლობის დაკარგვას. ბატონობა უცხო ტომთა ჩვენს მიწაწყალზედ ხშირად ყოფილა ხოლმე ჩვენის ხანგრძლივის ცხოვრებიბ განმავლობაში, „შავნი დრონი“ მწარე ხვედრი ყოფილა ჩვენი, შთამომავლობათათვის მწარედ მოსაგონარი, მაგრამ ერს მაინც იმედი არ დაუკარგავს, საუკეთესო ძალები გონებისა და მკლავისა შეუწირავს თავისუფლებისათვის, გმირთა ძვლებით მოუფენია სამშობლოს მთა და ბარი. თუ გამარჯვებული გამოსულა ბრძოლიდან, კვლავ შეუქმნია საფუძველი ახალი ეროვნული ცხოვრებისა, და თუ დამარცხებულა, დამარცხებულიც დიდი ყოფილა, სინიდის-წმინდა და ამაყი, რომ მოვალეობა შეასრულა, მონობის უღელში ვითარცა მხდალმა არ შეჰყო თავი.

ხოლო ჩვენის უკანასკნელის დამოუკიდებლობის დროს ვერც კი გავითვალისწინეთ, თუ რა მოხდა, ვერ დავაფასეთ დიადი წამი ჩვენის ახალის ცხოვრებისა—აღდგომა საქართველოსა ნაცართაგან, გადაგდება მონობის უღლისა, რომელიც მონღოლთა, სპარსთა და თურქთა კი არ დაგვადგეს, არამედ რუსთა, რომელთა სახელმწიფო ძლიერი იყო,—არა ევროპიული, მაგრამ ევროპიულად მოწყობილი სახელმწიფო მანქანით, ევროპასთან უშუალო დამოკიდებულების მქონე, დიდი ძალა საერთაშორისო პოლიტიკურ და სამეურნეო ცხოვრებაში. ბედნიერმა შემთხვევამ, რუსის დამარცხებამ დიდს ომში, შესაძლებელ ჰყო აღდგენა ჩვენის დამოუკიდებლობისა და მით უმეტეს უნდა გვესარგებლნა დროით დიდი მტრის დასუსტებისა, დაგვეყრდნო კვლავ მოპოებული დამოუკიდებლობა მტკიცე საფუძველზედ, გაგვეღვიძებია ძველი გმირული სული ერისა, შეგვექმნა ძლიერი მხედრობა, რომელიც გაუმკლავდებოდა მტერს,—იმ მტერს, რომელიც ადვილად არ დასთმობდა საქართველოს და კავკასიას და პირველი შემთხვევისათანავე კვლავ შეეცდებოდა მათ დაბრუნებას. ამისათვის საკმარისი დროცა გვქონდა და შეძლებაც, გვაკლდა მხოლოდ ნათელი და ძლიერი ეროვნული იდეა, მჭიდრო ეროვნული ერთობა. გაწყვეტილი აღმოჩნდა ხუ-ლიერი კავშირი ერეკლე მეორისა და სოლომონ მეფის საქართველოსთან. ასის წლის რუსის მონობამ თურმე დაავიწყებია ქართველს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. საერთაშორისო გართულების მიერ ნაშობმა საქართველოს დამოუკიდებლობამ იმდენს ხანს გასძლო, რამდენ ხანსაც ასეთს მოვლენას შეუძლია გაგრძელდეს. თითქოს ნორმალურ მონობითგან არაჩვეულებრივ მდგომარეობაში ჩავვარდით! თვით მმართველ წრეებისათვისაც არ იყო საქართველოს დამოუკიდებლობა რაღაც „ფეტიში“!—უკანასკნელნი დიდნი გმირნი, მატარებელნი საქართველოს სახელმწიფოებრივი იდეისა, დაიღუპნენ რუსეთის საწინააღმდეგო ბრძოლის დროს მე-XIX ს. დასაწყისში,—ზოგნი ბრძოლის ველზედ, ზოგნი უცხოეთში გადა-

კარგულნი დამარცხების შემდეგ. მათნი საფლავნიც კი აღგვილნი არიან პირისაგან მიწისა, ან მივიწყებულნი ქართველთაგან, სამშობლოს გარეთ უცხოთა საზრუნავად მიგდებულნი.—ქართველმა ერმა რუსის ძალას დაუთმო, მას დაემორჩილა. მოისვენა სპარს-ოსმალთაგან, მაგრამ ხანგრძლივმა „მოსვენებამ“ თვით იდეა დამოუკიდებლობისა თითქოს მოუკლა. რუსის ბატონობის დროს მართლაც შევქმენით ახალი ეროვნული ცხოვრება, ახალი ქართული კულტურა, მიუხედავად რუსეთის გამარუსებელ პოლიტიკისა, მაგრამ ჩვენი მხედარი ხმალს საქართველოსათვის კი აღარ იქნევდა, არამედ რუსეთის იმპერატორისათვის,—ბევრი ქართულის აღარ-მცოდნეც. ჩვენი ეროვნული იდეალი ერთი საუკუნის განმავლობაში „ავტონომიამდის“ ძლივს განვითარდა, ისიც ინტელიგენციის მცირე ჯგუფისათვის, ხოლო უენერგიულესი, უდიდესი და ბრძოლის უნარის მქონე ნაწილი ქართველი ერისა და ინტელიგენციისა ვითარცა ემმაკისაგან, ისე იჯმნა ყოველ ეროვნულ-პოლიტიკურ იდეალისაგან და რუსეთის დემოკრატიისა და საერთაშორისო სოციალისტურ ნიადაგზედ დადგა, განუხორციელებელ და მავნე უტოპიად ჩასთვალა თვით იდეა საქართველოს დამოუკიდებლობისა. შიში დიდი რუსეთის სიძლიერისა და პატარა საქართველოს სისუსტისა, რომელიც „რეალურ პოლიტიკას“ უკარნახებდა ქართველი ერისა და ინტელიგენციის ამ დიდს ნაწილს; შეცდომა წმინდა თეორიული, თითქოს სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი ეწინააღმდეგებოდენ ერის უფლებას დამოუკიდებლობისა, დიადი და მავნე ნაკლი მთელი მატერიალისტური მსოფლ-მხედველობისა, რომელიც საფუძვლად უდევს მარქსისტულ სოციალიზმს და რომელმაც ჩვენში განსაკუთრებულად ვულგარული სახე მიიღო და გაატლანქა ერის სული, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში სცდილობდენ ამ საშინელ საფრთხეთა, ეროვნების უარყოფისა და ვულგარულ მატერიალიზმის თავიდან აცილებას, და ცალიერი მოჩვენება ეგრედ-წოდებულ „რუსის დემოკრატიისა“, რომელიც არასოდეს არ არსებულა გარეშე რუსის ინტელიგინტთა თავებისა, და არც დღეს არსებობს,—აი რა უსხლეტდა ფეხს ჩვენს ეროვნულ მოქმედ ძალებს სამშობლო ნიადაგიდან! და განა უეცარ გადატეხის დროს პოლიტიკურად ასე გაწრთვნილი ერი და მისი ინტელიგენცია ეროვნულ თავ-დაცვას შესძლებდა, კიდევაც რომ ეწამა ერთ დღეს ის, რაც არაოდეს სწამებია?! და ვერც შესძლეს ქართველმა ერმა და მისმა პატრონებმა თავის დაცვა, როდესაც ეს საჭირო შეიქმნა. ნაჩვევმა წესმა აზროვნებისა, ერთხელვე ჩლუნგად შეთვისებულმა იდეებმა, ამ იდეათა სფეროში აღზრდილმა სულმა ქართველი ერისა და მის მესვეურთა დამოუკიდებლობის დროს შესაფერი მიმართულება და ვითარება მისცეს მთელს წვენს პრაქტიკულ მოქმედებას. ჩვენ მესვეურთა უზენაესი უნიჭობა დიდი ისტორიული მომენტის გაგებისა იქამდისაც კი მივიდა, რომ წარმოიდგინეს: რადაი რუსეთში „რევოლუცია“ მოხდა, ამიტომ ჩვენშიაც რევოლუციაა; მიუხედავათ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, ჩვენ ქვეყანაშიაც მოქმედობდენ ის მიზეზნი, რომელთაც მთელი რუსეთის სივრცეზედ გამოიწვიეს დიდი გარდატეხა. საქართველო რუსეთის ნაწილი იყო, მთელი საუკუნის განმავლობაში სცხოვრობდა რუსეთის კანონთა ქვეშ, მაშასადამე იგივე სოციალური გარდაქმნა ეჭირვებოდა საქართველოს, როგორიც რუსეთს, და ეს გარდაქმნა რევოლუციური გზით ხომ იმ რევოლუციური პარტიის საქმე უნდა ყოფილიყო, რომელსაც ხელში ძალა ჰქონდა! და დაიწყო განხორციელება „პროგრამმისა“—არა აღშენება თავისუფალ საქართველოს ახალ სოციალ-პოლიტიკურ შენობისა ისეთი წესებით, რომელიც თვით ჩვენი ცხოვრების მიერ, ჩვენი წარსულისა და აწმყოს მიერ უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. საკმარისია წავიკითხოთ ჩვენი „კონსტიტუცია“ რომ დავრწმუნდეთ, რომ თვით ერს კი არ შეუქმნია თვისი ცხოვრების შესაფერი კონსტიტუცია, არამედ „რევოლუციურ პარტიებს“ დაუწერთათ ეს „კონსტიტუცია“ იმ თვალსაჩინო ტენდენციით, რომ იგი „უმემარცხენესი“ და „უდემოკრატიულესი“ ყოფილიყო ყველა კონსტიტუციათა შორის! იგივე ბეჭედი „რევოლუციური“ მოქმედებისა აზის თითქმის ყოველ საქმიანობას ჩვენი მმართველთა, რომელნიც ვერ დადგენ პოზიტივური მოქმედების ნიადაგზედ და ამიტომ ზომაც ვერ დაიცვეს; „რევოლუციურ“ მოქმედების დროს მოქმედებდენ როგორც „დიკტატორები“ და როდესაც „ეროვნული მოქმედება“ ეჩვენებოდათ საჭიროდ—„რეაქციონერად“ და „შოვინისტად“ გამოჰყავდათ იგინი უკიდურეს „მემარცხენეთ“ ამგვარი იყო ეს უცნაური რევოლუცია საქართველოში, სადაც მხოლოდ პარტიები რევოლუციონერობდენ რეაქციონერობდენ, და სადაც არც რევოლუცია იყო ხალხისა და არცა რამ სარევოლუციო და სარეაქციო, არამედ სადაც საჭირო იყო დადებითი მუშაობა, აღმაშენებლობა. გაჯანსაღება ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა, ერის მოწინააღმდეგე ნაწილთა შორის მშვიდობისა და ზავის დამყარება, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია მთავრობის მიერ, და უპირველეს ყოვლისა შექმნა მტკიცე ეროვნული ერთობისა და ერის ორგანიზაცია თავის დაცვისათვის. La noblesse oblige!—ამით უფრო ხელმძღვანელობდენ ჩვენი პარტიები და მათი მოქმედებაც ძველი პროგრამმებისა და არა დამოუკიდებელი საქართველოს საჭიროებათა შესაფერისი იყო. თავად-აზნაურობა, რომელმაც ყოველ პრივილე-

გიაზედ უარი განაცხადა და დაემორჩილა თავისუფალ სამშობლოს კანონს, რომელიც მზად იყო სხვერპლად შესწიროდა სამშობლოს თავისუფლებას, როგორც ეს მას წესად ჰქონდა საუკუნეთა განმავლობაში, ჩამოაშორეს მხედრობას. ეს იყო განუზომელი სიბეცე, უღრმესი გაუგებრობა საქართველოს მდგომარეობისა მაშინ, როდესაც საერთაშორისო მდგომარეობა გვაბრკოლებდა და მრავალ დიდსა და პატარა მტერს პირი ჰქონდა დაღებული საქართველოს დასაგლეჯად და ჩასაყლაპავად. მსგავსნი მოქმედებანი აზასიათებენ ჩვენ მესვეურთა მიერ მართვას საქართველოსას მთელი სამი წლის განმავლობაში ჩვენის დამოუკიდებლობისა, და შედეგი ამისა ის იყო, რომ როდესაც რუსეთმა ხმალი კვლავ მოგვიღირა, მყისვე წარიხოცა საქართველო. ბრძოლა კი ვერ მოვახერხეთ! მხოლოდ მცირე-რიცხოვან ახალ-გაზრდათა ჯგუფს ხვდა წილად თავი დაედვა ბრძოლის ველზედ. ეს და აღმოჩნდა ნაშთი წარსულის გმირობისა და მამულიშვილობისა!

**1918** წელს დამოუკიდებლად გამოცხადებული საქართველო უნდა დაღუპულიყო და დაიღუპა კიდეც. ვერ მოვუარეთ სამშობლოს და დავკარგეთ იგი მაგრამ საგლოვი და სატირალი ეს არ არის—საქართველო, სხვა საქართველო, სულით უფრო ძლიერი კვლავ აღსდგება, მის სათავეში სხვანი იქმნებიან, ჩვენზედ უფრო ძლიერნი და გონიერნი. ჩვენ ჩვენი დაკნინება უნდა ვიგლოვოთ, არარაობა ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური აზრისა და გრძნობისა, რაიცა მთავარი მიზეზი იყო **1921** წელს საქართველოს წარხოცისა. ეს ჩვენი სინანული შთამომავლობას გადავსცეთ და ანდერძად დავუტოვოთ—დროთა სივრცეში **1918—1921** წლის საქართველოს მესვეურთა თავზედ გადიხედონ ერთი საუკუნით უფრო შორს და იქ მიაპყრან თვალნი მისაბაძავად უძლიერეს და უღირსეულს წინაპართა. —არც კრწანისის ველზედ დაღუპულნი **1921** წელს არიან საგლოვნი, როგორც ჩვენი ცრემლი არა სჭირდება **1795** წელს თავდადებულ გმირთ ერეკლე მეფისა იმავ კრწანისის ველზედ. იგინიც სამაგალითანი იქმნებიან შთამომავლობისათვის, —ცოტანი, მაგრამ ღირსნი თავიანთ დიდ წინაპართა და ჩვენ საბედისწერო ბრძოლის ველზედ განგმირულთა.

**მიხეილ წერეთელი.**

რედაქციას **„სამშობლოსათვის“.**

ღ. პ. ბ-ნო რედაკტორო,

დამოუკიდებელ საქართველოს ქართველ სტუდენტა კორპორაცია „Georgia“-ს სახელით გამოვთქვამთ უაღრეს სიხარულს და გულითადი სალამით ვეგებებით თქვენს ეროვნული პოლიტიკის ორგანოს „სამშობლოსათვის“.

ამას თან ვაერთებთ ჩვენს უგულწრფელეს სურვილს, რათა იმ წმინდა იდეის აღმაფრენას, რომელსაც ეს თქვენი პოლიტიკური ორგანო „სამშობლოსათვის“ ემსახურება, მარადის ამაგრებდეს და ასულდგმულებდეს ნამდვილი, გულწრფელი ქართველ მამულიშვილების ერთგულება, მათი სულიერი სიმტკიცე და სამშობლოსათვის თავგანწირული სიყვარული; კვლავ, მაგრამ ერთხელ და საბოლოოდ ენახოს მას განხორციელება ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოში. ხმა თქვენი პოლიტიკური ჟურნალისა მარადის იყოს აქ, უცხოეთში, ყველა ჩვენი ერთგული თანამემამულეთათვის, რომელთაც სამშობლოსათვის მგლოვიარება მეტად გაჭივრებულ პირობებში უხდებათ, ხმა მათი სულიერათ გამამხნევებელი, შემაკავშირებელი და იმედების შთამბერველი, ხოლო ყველა ჩვენი სამშობლოს მოღალატისა და მტრისათვის-კი, გულის გამგმირველი მწარე ლახვარი.

გვიგულეთ როგორც გულწრფელნი, მარადის დამოუკიდებელ საქართველოს სამფეროვანი დროშის ერთგულნი დამცველნი და სამშობლოს იდეისადმი გულის სიღრმემდი სიყვარულითა და მოწიწებით გამსჭვალულნი!

პატივისცემით კორპორაცია **„Georgia“.**

ბერლინი **8-VI-25.**

—აღმოსავლეთურ-ფრანგული გალა. ოთხ ივნისს თეატრ **„Femina“**-ში ჩვენმა მეზობლებმა, აზერბაიჯანელებმა, მოაწყეს საკუთარი თეატრალურ-მუსიკალური ნაწარმოების პირველი მანიფესტაცია. ამ მიზნით დადგმულიქმნა ფრანგულ ენაზედ ქართული საზოგადოებისათვის კარგათ ცნობილი—„არშინ მალ ალან“, —პიესა ბ-ნი ჯეიჰუნ ბეი ჰაჯიბეილისა, მის მიერვე ფრანგულათ თარგმნილი; მუსიკა მისი ძმის-უზაირ ბეისა. მომწყობი კომიტეტის საპატიო თავმჯდომარეებათ იყვნენ მარშალი ფრანშე დესპერე და პრინცესები ლ. მიურატისა და ი. დადიანისა. უცხო სანახავი იყო ისეთ პარიზულ თეატრში, როგორიცაა **„Femina“**, „არშინ მალ ალანის“ ორიგინალი სახე. გალაზე ბლომათ იყო ფრანგის საზოგადოება, ქართველობა, აზერბაიჯანლები, სომხობა და მთიელები.

### საქართველო შინ და გარეთ.

—**26** მაისის დღესასწაული. საფრანგეთის ქართველთა ასოციაციამ **26** მაისის ეროვნული დღეობა დიდის ენტუზიაზმით გადაიხადა. დღესასწაულს დაესწრო ოცამდე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლო-

ეროვნული

ბა, სხვა უცხო საზოგადოებაც და მთელი ქართველობა. პროგრამამ ძალიან შნიანათ ჩაიარა. ჩვენმა სახალხო სიმღერებმა და ცეკვამ მოხიბლა დამსწრე უცხოელობა. საზოგადოება, რომელსაც პროგრამის ამოწურვის შემდეგაც დარბაზი დიდ ხანს არ დაუტოვებია, ნასიამოვნები დაიშალა.

—24 ამ თვეს, საღამოს ცხრა საათზე, ჰოშის დარბაზში, 9, **Avenue Hoche**, ქართველ მხედართა კავშირის სასარგებლოთ გაიმართება საღამო გალა, პრინცესსა ლ. მიურატისა და გენერალ ბოლფურიეს მფარველობის ქვეშ.

—29 ამ თვეს ინგლისელთაგან შემდგარი საქართველოს კომიტეტი ლონდონში აწყობს ბალს ქართველ ლტოლვილთა სასარგებლოთ.

—ჩვენი ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ორმოცამდე შეფიცულები, რომლებიც ცნობილი პეჟოს საავტომობილო ქარხანაში მუშაობენ პროვინციის ქალაქ ოდენკურში, ქართულ საღამოს მართავენ. დიასახლისობა უკისრნია თვით ბ-ნი პეჟოს მეუღლეს.

## ლადო გუდიაშვილი

გამოვიდა ცნობილი კრიტიკის მორის რეინალის **„ლადო გუდიაშვილი“**. ეს გამოცემა, ფაქიზი და მდიდრული, შეიცავს ბ-ნი რეინალის 15 ნაბეჭდ გვერდს და თვით მხატვრის 20 სურათსა და 10 ნახატს. მას წინ დართული აქვს **ლადოს** თავი, ბ-ნ თომა ჰანდფორტის მიერ დანახატი. თავის მოკლე ეტიუდში ავტორი დიდის ჩაწვდომით გადმოგვცემს გუდიაშვილის შემოქმედების ხასიათს. ავტორი იმით იწყებს, რომ თვის მკითხველს უამბოს, ნაზი და შემაქცევარი კილოთი, თუ როგორ გაეცნო იგი პატარაობიდან მისტერიულ საქართველოს. შემდეგ აღნიშნავს, რომ გუდიაშვილის შემოქმედების ძირითად მოტივში მუდამ საქართველოს სული მოსჩანს. მხატვრის დიდ ღირსებათ ის მიაჩნია, „რომ ეროვნული გრძნობიერება ხელუხლებლათ შეინახა იმ პლასტიურ ცთუნებათა წრეში, რომელიც პარიზმა გარს შემოუდგა“; რომ იგი არ დანებდა „შემოქმედების იმ გაინტერნაციონალებას, რომელსაც პარიზი ძალაუნებურათ თავს ახვევს უცხოეთის ჩამოსულ არტისტებს“ და რომელიც, თავის ყალბი ნაყოფით, „ცუდგუნებაზე აყენებს ადამიანს“. ავტორი ასე დაასკვნის: „ლადო გუდიაშვილმა აირიდა სხვათა გონების კარნახი და თავის ნაწარმოებში დაადგინა მტკიცე წონასწორობა საკუთარი გონების მონაცემთა და საკუთარი პიროვნული გრძნობიერების გამოცხადებათა შორის და მოგვცა ერთი ორიგინალური და მკვიდრი ნაშენობა. რაც იშვიათია, მან მიაღწია და თვით ისინიც შეაქცია, მოხიბლა და აღატკინა, ვინც დიდი ხანია აღიარებდა გრძნობის ხელოვნების გაკოტრებასო“.—ვეცდებით, რომ შემდეგ ნომრებში თარგმნის სახით ჩვენს მკითხველებს მივაწოდოთ ცნობილი ფრანგი კრიტიკის აზრი ჩვენი სასიქადულო მხატვრის შესახებ.—

—საფრანგეთის ეროვნულ-რესპუბლიკელების კვირეულ გაზეთში **„La voix Nationale“**-ში დაიბეჭდა ბ-ნ რეიმონ დიუგეს მთელი სერია წერილები საქართველოს შესახებ. ავტორი იძლევა საქართველოს ისტორიის სხარტულ სურათს, რის შემდეგაც გადადის და ხანგრძლივათ ჩერდება საქართველოს უკანასკნელი წლების მოვლენებზე. ავტორი კარგათ ერკვევა საქართველოს იმ სოციალ-პოლიტიკურ სინამდვილეში, რომელიც რუსეთის რევოლუციას დაუხვდა. მას ნათლად აქვს წარმოდგენილი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებათა სხვადასხვაობა ამ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში. იგი აღნიშნავს ქართულ ეროვნულსა და ქართულ ინტერნაციონალურ-სოციალისტურ იდეურ მიმდინარეობათ, მათ მოქმედებას და ორგანიზაციას. არკვევს ინტერნაციონალურ-სოციალისტური მიმდინარეობის გაბატონების მიზეზებს და მთავარ მიზეზათ ასახელებს იმ გარემოებას, რომ საქართველოში მყოფი ყველა არაქართული ელემენტი ემხრობოდა და მხარს უჭერდა არა ქართულ ეროვნულ მიმდინარეობას, რომელიც საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების იდეალს ატარებდა, არამედ ქართველების ინტერნაციონალურ-სოციალისტურ პარტიას, რომელიც ამ იდეალს ებრძოდა. ბ-ნი დიუგე ძალიან უარყოფით იხსენიებს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის პოლიტიკას და მის ბუნებრივ შედეგათ მიაჩნია მთელი ის უბედურება, რომელიც თავს დაატყდა ქართველ ერს. ავტორი იცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და დიდის თანაგრძნობით ეხმაურება ქართველი ერის თავდადებულ ბრძოლას.

ბ-ნი რეიმონ დიუგეს ამგვარივე წერილებია მოთავსებული ერთ გავრცელებულ ინგლისურ კონსერვატორულ ჟურნალში—“**The Patriote**”-ში.

—ცალკე ბროშურათ გამოვიდა სოციალისტ დეპუტატის ბ-ნი რენოდელის სიტყვა, რიმელიც მან წარმოსთქვა პარლამენტში საქართველოს შესახებ, საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის გარჩევის დროს, 29 იანვარს, პასუხათ ბ-ნ კაშენისა, რომელმაც ამ კამათის დროს სასტიკათ გაილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ და მხარი მოსკოვს დაუჭირა. ბ-ნი რენოდელი თავის სიტყვაში იხილავს საქართველოს დამოუკიდებლობის წარმოშობას, დამოუკიდებლობის პერიოდს, ბოლშევიკების საოკუპაციო ხანას და უკანასკნელ აჯანყებას. იგი მხურვალეთ იცავს ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებას. სიტყვას ეტყობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტების სწორი ცოდნა და ისიც რომ ორატორის იდეალისტური მოტივი, რომელიც მას აქეზებს ამ შემთხვევაში მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ, ის არის, რომ საქართველო და მისი მთავრობა იყო მეორე ინტერნაციონალის სახეობის პირველი სოციალისტური ქვეყანა და პირველი სოციალისტური მთავრობა ამ ჩვენს პლანეტაზე.

—საფრანგეთის პარლამენტის 29 მაისის სხდომაზე, მაროკოს ამბების გამო კამათის დროს, როდესაც კომუნისტების ლიდერმა კაშენმა მოითხოვა დაუყონებლივი ზავი მაროკოს აჯანყებულებთან და ფრანგის ჯარების ევაკუაცია და როდესაც მან პათეთიურათ დაასრულა, რომ მას არ ესმის რა უფლებით უნდა გაიგზავნოს 200.000 ჯარისკაცი სხვისი ტერიტორიის დასაპყრობათაო, სოციალისტების ადგილიდან შესძახეს—აბა საქართველოზე რას ბრძანებთო. კაშენი' რომელიც როგორც პარლამენტში, ისე კერძო მიტინგებზე იცავს მოსკოვის საოკუპაციო პოლიტიკას საქართველოში, ამ რეპლიკას, რასაკვირველია, გაუჩუმდა. —

---

—ოპერა „ვეფხის ტყაოსანი". სამუსიკო საზოგადოება „ემორი" დგამს ახალგაზდა კომპოზიტორის ლეო ფალიაშვილის ოპერის „ვეფხის ტყაოსანს". ეს ოპერა, დასკვნისათვის წარედგინა საგანგებო მუსიკალურ ჟიურის. თუმცა ჟიურიმ იგი დიდ მუსიკალურ შემოქმედობათ იცნო, მაგრამ რომ უფრო შესაფერისი ყოფილიყო რუსთაველის გრანდიოზული პოემისა, ავტორს სთხოვა მისი ხელახალი გადამუშავება, ვიდრე თბილისის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაიდგმოდა. ოპერა შეიცავს 4 მოქმედებას და 7 სურათს.

—ქართული სახელმწიფო დრამა სეზონის გათავების შემდეგ, გავიდა პროვინციათ. მის საპროვინციო რეპერტუარს შეადგენს: „ლატავრა", „მათრახის პანაშვიდი", „სინათლე", „ვინძორის ცელქი ქალები" და „ცხვრის წყარო".

—ნინო ჩხეიძეს, სასცენო მოღვაწეობის 30 წლის შესრულების გამო, მიენჭა სახალხო არტისტის სახელი და დაენიშნა უმაღლესი ხარისხის მუდმივი პენსია.

—ზაქარია ფალიაშვილს გადაუხადეს 30 წლის მოღვაწეობის იუბილე. მას მიენიჭა სახალხო არტისტის სახელი.

—პოეტმა გრიშაშვილმა დასაბეჭდათ გაამზადა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები, საკუთარი რედაქციით და წინასიტყვაობით.

—გამოვიდა შვიდ კარიანი რომანი „კვაჭი ქვაჭანტირაძე" მიხეილ ჯავახიშვილისა.

—გრიგოლ რობაქიძის პიესა „ლონდა" ითარგმნა ფრანგულ ენაზე ქ-ბნ ელ. ორბელიანის მიერ.

—ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დავით პავლიაშვილი, ქართული ჟურნალ-გაზეთობის პირველი პროფესიონალი რეპორტიორი.

—„რევოლუცია და ლიტერატურა". თბილისის გაზეთებში მოყვანილია მოხსენება ბ-ნი ვარდინისა ამ საგანზე და მის გარშემო ატეხილი კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიუღიათ: ბ.ბ. კოწია გამსახურდიას, პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, ბოგდატიევს, ქიქოძეს, ზომლეთელს, ბუაჩიძეს და სხვებს. საქართველოს პოლიტიკური მკვლელობის შემდეგ, რომელიც საერთაშორისო პროლეტარიატის სახელით მოსკოვის წითელ არმიელებმა მოახდინეს, ეხლა საქართველოს კულტურული და ლიტერატურული მოკვლა განუზრახავს მოსკოვს და მის ქართველ აგენტებს. მათი დებულება მარტივია: ერი და ეროვნული კულტურა—მიქარვაა. ეს წასალეკი ნაშთია ძველი სიბნელის. ერთად ერთი სინამდვილე და მომავლის ძალა პროლეტარიატია და მისი პროლეტარული, ინტერნაციონალური კულტურა. საქართველოში-კი, სადაც გამარჯვებულია მუშურგლეხური რევოლუცია, ბატონობს ძველი მოდის, რაღაც ეროვნული შემოქმედება და არა პროლეტარული, ინტერნაციონალური. ამიტომ მორიგი ამოცანა, რომელიც ერთი დარტყმევით უნდა გადაიჭრას, ეს გახლავთ ამ ეროვნული კულტურის მოსპობა. ამისათვის წარმოდგენილია საერთო შეტევის გეგმა—პოლიტიკური, პარტიული და ფინანსიური ფრონტით. ასე მაგ. სახელმწიფო გამომცემლობა და მთავრობის ყოველგვარი ნივთიერი დახმარება უნდა მარტო პროლეტარიატის მწერლებს მიეცეს, რომ სხვებს საშუალება მოესპოს არსებობის, წერის და დაბეჭდვის.

ამ ეროვნული საფრთხის წინააღმდეგ ერთად ილაშქრებენ ისეთი სხვადასხვა სკოლის პოეტები და მწერლები, როგორც პ. იაშვილი და კ. გამსახურდია. ორივე იმას იცავს, რომ ყოველი კულტურა მხოლოთ ეროვნული შემოქმედების სახით ცხადდება და რომ ამ მხრივ ყველაფერს ეროვნული მომენტი ბატონობს. მაგრამ მაშინ როდესაც პ. იაშვილი „პროლეტარიული კულტურის" თანამგზავრობაზე ყაბულდება, კ. გამსახურდია მისგან აბსოლუტურათ თავს იმიჯნავს. ბ-ნი გამსახურდია, რომელიც თავის სიტყვას ქართულათ ლაპარაკობს,რაიცა მღელვარებას იწვევს„ინტერნაციონალურ" მწერლობის მხრივ, აცხადებს: „ჩემი ნაციონალიზმი თავდაცვითი ნაციონალიზმია. საქართველოში ქართული კულტურის გეგემონია უნდა იყოსო".

—ჭიათურის შავი ქვის კონცესია. მოლაპარაკება „ჰარიმანის" ამერიკულ ფირმასთან, რომელიც რამდენიმე თვეა სწარმოებს, ამ ჟამად შეწყვეტილია. დავას შემდეგი მუხლი იწვევს: თუ საბჭოთა მთავრობა ერთის მხრით კონცესიონერს უფლებას აძლევს კონცესია მიატოვოს თუ განაცხადებს რომ იგი მისთვის

ხელსაყრელი არ არის, მეორეს მხრით მოითხოვს, რომ კონცესიონერმა იმ შემთხვევაშიაც შეასრულოს ხელშეკრულებათ გათვალისწინებული ოთხი მილიონი დოლარის სამუშაო (ჭიათურის რკინის გზის გადაკეთება ფართო ლიონდავათ, ფოთში დასატვირთეთ ფარდულის აგება და სხვა), როდესაც იგი ვსთქვათ, კონცესიას საზარალოთ მიიჩნევს და თავს დაანებებს. პიატაკოვი, რომელიც საბჭოთა მთავრობის მხრივ მონაწილეობას იღაბა ამ მოლაპარაკებში, „იზვესტიას" თანამშრომელს არწმუნებს—ამ მუხლში არაფერს დავსმობთო კონცესია გაიცემა 20 წლით.

—ჯონსონი საქართველოზე. ბრიტანიის საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში ბ-ნი ჯონსონი და ბრიტანიის საგარეო საქმეთა მინისტრის წარმომადგენელი ომალი საინფორმაციო მოგზაურობას ახდენენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რომ მდგომარეობას ადგილობრივ გაეცნონ. მაისის ბოლო კვირა გაუტარებიათ საქართველოში. წასვლის წინ ბ-ნ ჯონსონს უნდა განეცხადებიოსთვისი დიდი კმაყოფილება ყველა იმით, რაც ინახულა; განსაკუთრებით კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია თბილისის უნივერსიტეტს, რომელიც მისის თქმით მხურვალე კერაა ქართული კულტურის. მისი თქმით, საქართველო ყოველ მხრით წინ მიდის. საქართ. მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას და ცხოვრების პირობების განვითარებას. დასაჯერებელი იქნებოდა რომ ეს ბ-ნ ჯონსონის მთლიან მოხსენებაში ამოგვეკითხა და არა...„როსტას" ლიტერატურაში.

### საქართველოს ბიუჯეტი.

ამ წლის საქართველოს საბიუჯეტო გასავალი უდრის—14.247.217 ოქროს მანეთს. ამ თანხიდან საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებაზე (საქ. ცენტ. აღმას. კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო) იხარჯება—10,8 მილ.; ფედერატიულ ხელისუფლებაზე, რომელსაც საქართველოში აქვს თავისი შეერთებული დაწესებულებანი (ფინანსთა კომისარიატი, შინაგანი ვაჭრობის კომისარიატი, შრომის კომისარიატი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატი, უმაღლესი ეკონომიური საბჭო და ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო)-იხარჯება—1.447.217 მ. და საერთო საკავშირო ორგანოებზე (კავშირის ცენტ,აღმას. კომ., სახ. კომ. საბჭო, საგარეო საქმეთა კომისარიატი, საგარეო ვაჭრობის კომისარიატი, სამხედრო და საზღვაო კომისარიატი და სამხედრო სასანიტარო სამმართველო) იხარჯება—2,03 მილიონი.

საქართვილოს საბიუჯეტო შემოსავალი უდრის—13,5 მილიონ მანეთს. ეს შემოსავალი ასეა წარმოდგენილი: 1,2 მილიონი მანეთი, როგორც წმინდა საქართველოს რესპუბლიკის შემოსავალი და 12,3 მილიონი მანეთი როგორც მოსკოვის ფეშქეში, როგორც საკავშირო შემოსავალი. (დეფიციტია—717.217 მანეთი). რომ გავიგოთ ნამდვილათ ვინ ვის კვებავს, მოსკოვი საქართველოს, თუ საქართველო მოსკოვს, უნდა ვიცოდეთ შემდეგი: რომ საქართველოს საგადასახადო ფინანსიური შესაძლოება, რომელიც აღრიცხულია 27 მილიონით, პირდაპირ მოსკოვის კასსაში ნაღდდება და იქ იკარგება; რომ ამ 27 მილიონის გარდა, მოსკოვის კასსაშივე ინთქება საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის, რკინის გზის, საკრედიტო ოპერაციების, ნავთსადენი მილის და შავი ქვის შემოსავალი, რაიც დიდათ საგრძნობ თანხას შეადგენს; რომ რუსეთის ეროვნული მრეწველობის მფარველობითი პოლიტიკის გამო საქართველოს საბაჟოები ყოველწლიურათ ჰკარგავს 4-5 მილიონ მანეთის შემოსავალს და რომ ამავე პოლიტიკის გამო საქართველომ ძალაუნებურათ უნდა ასაღოს რუსული საქონელი, რომელიც თავის ღირებით ერთი ხუთათ უფრო ძვირია და თავის ხარისხით გაცილებით უფრო დაბალი, ვიდრე ევროპიული საქონელი.

(ვარაუდით წელს საქართველომ რუსეთს უნდა გაუსაღოს 28 მილიონი მანეთის მანუფაკტურა, შაქარი, ლითონი, რეზინა, პურეულობა და სხვა. ნამდვილათ კი, ამა წლის გასული თვეების მიხედვით ეს გაცილებით გადააჭარბებს 28 მილიონს). ასე რომ საქართველოს მთელი ეროვნული შემოსავალი არამც თუ სავსებით ჰფარავს საქართველოს სახელმწიფო გასავალს, არამედ მისი დიდი ნაწილი მოსკოვის საჭიროებას ხმარდება.

—ყოველ დღიურ რუსულ კომუნისტურ გაზეთს „პარიჟსკი ვესტნიკს", რომელიც გამოდის ეს ერთი თვეა, მიემატა ამ ერთი კვირის წინ მეორე რუსული გაზეთი—„ვოზროჟდენიე". ეს უკანასკნელი გამოდის ორი ფაკტორის ალიანსით, სომხის კაპიტალით (გამომცემელია ცნობილი მილიონერი ტერ-გუკასოვი) და რუსეთის „ლიბერალურ-კონსერვატორული" ძალებით. (რედაკტორია პეტრე სტრუვე).

—კრასინის გაწვევა. საბჭოთა მთავრობა და კომინტერნი კრასინის უკმაყოფილოა. აბრალებენ: რომ მან ვერ დაიცვა თავისი თანამშრომელი და ზინოვიევის დიდი მეგობარი, ვოლინიო, რომელიც პარიზიდან იქმნა გაძევებული; რომ მოსკოვის წარმომადგენლის ტარატუტას მიერ ვისოცკის ბანკის ყიდვის დროს პარიზში დიდი ბოროტ მოქმედება იქმნა ჩადენილიო; რომ კრასინმა მთელი შვიდი თვის განმავლობაში გავლენიანი ნაცნობობა და კავშირი ვერ გააბაო და რომ იგი უვარგისია იმ აკტიური და ცოცხალი მუშაობისთვის, რომელიც უნდა გასწიოს საბჭოთა ელჩმა საფრანგეთში, მაროკოს ამბობის, რაც შეიძლება მეტი გამოყენებისთვისო.

Le Gérant: Félix Kaldenbach.

Imp. DANZIG, 26, Rue des Francs-Bourgeois, PARIS